აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის ფიზიკა- მათემატიკის ქალაქ თბილისის №42 საჯარო სკოლა

2015 weli

Tbilisi

2014-2015 წლის მნიშვნელოვანი მოვლენები და წარმატებები

- **2014-2015 saswavlo wlis kursdamTavrebulTa Sedegebi erTian erovnul gamocdebze**



2014-2015 წლის მნიშვნელოვანი მოვლენები და წარმატებები

- **2014-2015 სასწავლო წელს 42-ე საჯარო სკოლის 13-მა მოსწავლემ სკოლა წარჩინებით დაამთავრა, აქედან ხუთმა ოქროს, ხოლო რვამ ვერცხლის მედალი დაიმსახურა.**

2014-2015 წლის მნიშვნელოვანი მოვლენები და წარმატებები

- 2014-2015 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების საგრანტო ქულებით მათემატიკის ჩამბარებელ აბიტურიენტთა შორის გვანცა გოგუამ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე პირველი ადგილი დაიკავა.
- 2014-2015 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების საგრანტო ქულებით მათემატიკის ჩამბარებელ აბიტურიენტთა შორის ანდრო გვივრაძემ სან-დიეგოს უნივერსიტეტში კომპიუტერული ინჟინერიის ფაკულტეტზე პირველი ადგილი დაიკავა.

- 2014-2015 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების საგრანტო ქულებით ბიოლოგიის ჩამბარებელ აბიტურეანტთა შორის რუსუდან არბოლიშვილმა ილიას სახელობის უნივერსიტეტში პირველი ადგილი დაიკავა.
- 2014-2015 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების საგრანტო ქულებით გეოგრაფიის ჩამბრალებელ აბიტურიენტთა შორის ელენე ჯანაძემ თავისუფალ უნივერსიტეტში პირველი ადგილი დაიკავა

2014-2015 წლის მნიშვნელოვანი მოვლენები და წარმატებები

42-ე საჯარო სკოლა ხშირად იღებს მადლობის წერილებს სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლებიდან

მადლობის წერილი სკოლის ადმინისტრაციასა და პედაგოგებს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტისგან

ყოველწლიურად თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სამათვალყურეო საბჭოს თავჯდომარე კახა ბენდუქიძე და რექტორი გურამ ჩიქოვანი მადლობის წერილს უგზავნიან სკოლის პედაგოგებს ნიჭიერი და მიზანდასახული ახალგაზრდების აღზრდისათვის.

ტრადიციულად 2014-2015 სასწავლო წელსაც მიიღო სკოლამ სამადლობელი წერილი.

თავისუფალი უნივერსიტეტი

2014-2015 წლის მნიშვნელოვანი მოვლენები და წარმატებები

მოსწავლეთა წარმატებები

წარჩინებული მოსწავლეები ლეპტოპებით დასაჩუქრდნენ

2014-2015 სასწავლო წლის დასაწყისში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა თამარ სანიკიძემ პერსონალური კომპიუტერებით თბილისის საჯარო სკოლების ის მეათეკლასელი მოსწავლეები დააჯილდოვა, რომლებმაც საბაზო საფეხური დაასრულეს და მათი საფეხურის ნიშანი დამრგვალების გარეშე 10 ქულაა.
42-ე საჯარო სკოლაში ასეთი ხუთი მოსწავლეა:

- თომა რთველიაშვილი
- ანა მარია ჩხაიძე
- დავით თათოშვილი
- მარიამ მაისურაძე
- რევაზ ლობჟანიძე

მოსწავლეების საერთაშორისო წარმატება

2015 წლის 11-17 იანვარს ყაზხეთის ქალაქ ალმატაში ჩატარდა ჟაუტიკოვის სახელობის XI საერთაშორისო ოლიმპიადა მათამატიკაში, ფიზიკასა და ინფორმატიკაში. ოლიმპიადაში ტრადიციულად აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის ფიზიკა-მათამატიკის ქალაქ თბილისის №42 საჯარო სკოლის მოსწავლეებიც მონაწილეობდნენ.

ჩვენი სკოლის მოსწავლეები წარმატებით გამოვიდნენ ამ მეტად პრესტიჟულ ოლიმპიადაზე- მეთორმეტეკლასელებმა გიორგი ბახტაძემ და ნიკოლოზ მდინარაძემ ფიზიკაში ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს.

მოსწავლეთა მორიგი საერთაშორისო წარმატება

2015 წლის 19-25 ივნისს საქართველოს მოსწავლეთა ნაკრების წევრებმა ახალგაზრდა ნატურალისტთა საერთაშორისო ტურნირში ოქროს მედალები მოიპოვეს. ტურნირი სერბეთის დედაქალაქ ქალაქ ბელგრადში ჩატარდა.

საქართველოს ნაკრები გუნდი დაკომპლექტებული იყო აკად. ი. ვეკუას სახ. ფიზიკა-მათემატიკის თბილისის №42, ვლადიმერ კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის N199 და ანდრია რაზმაძის სახელობის ქალაქ ქუთაისის №41 ფიზიკა - მათემატიკის საჯარო სკოლების მოსწავლეებისგან.

”მომავალ ფიზიკოსთა ოლიმპიადის“ გამარჯვებული გიორგი ხომერიკი

2015 წლის 29 მარტს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და საინჟინრო ფაკულტეტის ორგანიზებით აბუტურიენტებისთვის ჩატარდა „ მომავალ ფიზიკოსთა ოლიმპიადა“. ჩვენი სკოლის მოსწავლე გიორგი ხომერიკი ოლიმპიადაში მიღწეული წარმატებისათვის 1200 ლარიანი სასტიპენდიო ვაუჩერით დაჯილდოვდა, რომლის გამოყენებასაც ის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინჟინრო ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამაზე - ჩარიცხვის შემდეგ შეძლებს.

ევროკავშირის მეშვიდე ჩარჩო პროგრამის ფარგლებში დაფინანსებულ პროექტ „ჯაჭვური რეაქციის“ გამარჯვებული მოსწავლეები საერთაშორისო კონფერეციაზე გერმანიაში

2015 წლის 14 მარტს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ევროკავშირის მე-7 ჩარჩო პროგრამის პროექტის - „ჯაჭვური რეაქცია“ - ფარგლებში, გაიმართა მოსწავლეთა მეორე ეროვნული კონფერენცია საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში.

ჟიურის ერთობლივი გადაწყვეტილებით 42-ე სკოლის ორ პროექტს - "მწვანე გათბობა" და "მწვანე ტურბინა" მიენიჭა გრან პრი და პროექტის გუნდმა მოიპოვა უფლება საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობისა, რომელიც გერმანიის ქალაქ ჰაიდელბერგში გაიმართა.

გამარჯვებული მოსწავლეები არიან:
ელენე ნიკოლაიშვილი, ანა ნიჟარაძე, მარი ხვიჩია, გიორგი ხომერიკი და მიხეილ თექთუმანიძე.

მოსწავლეების საერთაშორისო წარმატება მათემატიკაში

სკოლის მოსწავლეები მუდმივად მონაწილეობენ მათემატიკის საერთაშორისო დისტანციური ოლიმპიადაში „ მესამე ათასწლეული“ , რომელიც ყოველწლიურად სანკტ-პეტერბურგში ტარდება.
2014-2015 სასწავლო წელს აღნიშნულ ოლიმპიადაში ჩვენი სკოლის მოსწავლეებმა II და III ხარისიხის დიპლომები მოიპოვეს.
ეს მოსწავლეები არიან:

- ირაკლი შალიბაშვილი-10 კლასი
- ლაშა კაპანაძე -12 კლასი
- გიორგი ვარაზაშვილი -8 კლასი
- ლუკა ხიზანიშვილი -10 კლასი
- გივი კოხრეიძე -7 კლასი

ჩვენი სკოლის მოსწავლეებმა ბლოგების კონკურსში

I ადგილი დაიკავეს

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ორგანიზებით, გაიმართა მოსწავლეთა კონფერენცია თემაზე „ჩვენ ვიცავთ თანატოლების უფლებებს“.

კონფერენციის ფარგლებში ასევე გაიმართა ბლოგების კონკურსი „ჩვენ ვიცავთ თანატოლების უფლებებს“, რომელშიც ჩვენი სკოლის მოსწავლეებმა I ადგილი დაიკავეს.

პირველ სამ ადგილზე გასულ მოსწავლეებს ფულადი ჯილდო და სიგელები გადაეცათ.

კონფერენციის მიზანი იყო ადამიანის უფლებების/ბავშვის უფლებების თემაზე მოსწავლეთა ინფორმირება, ტოლერანტობის, სამოქალაქო და სამართლებრივი ცნობიერების ამაღლება. ინფორმირების გაზრდა ძალადობის ფორმებისა და ძალადობისაგან თავის არიდების თაობაზე.

IX კლასის მოსწავლემ მარიამ მანწკავამ მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეში გამართულ 69-ე სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენციაში (ქართული ლიტერატურის სექცია) I ხარისხის დიპლომი მოიპოვა

2015 წლის 19 აპრილს საქართველოს მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეში მოსწავლეთა 69-ე სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენცია გაიმართა, რომელშიც საქართველოს მასშტაბით მოქმედი საჯარო, სრული და არასრული საშუალო სკოლების, გიმნაზიების, კოლეჯების, მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეებისა (სახლები) და ცენტრების VIII - XII კლასების მოსწავლეები მონაწილეობდნენ.

ჩვენი სკოლის IX კლასის მოსწავლემ მარიამ მანწკავამ ქართული ლიტერატურის სექციაში რესპუბლიკის მასშტაბით I ხარისხის დიპლომი მოიპოვა.

მოსწავლეთა მონაწილეობა სასკოლო-სამეცნიერო კონფერენციებში

სკოლაში „ ნიკო ლორთქიფანიძე და მინიატურული პროზის შექმნის ხელოვნება“ კონკურსი ჩატარდა

2015 წლის 19 თებერვალს ქართული ენის კათედრამ ჩაატარა კონკურსი „ ნიკო ლორთქიფანიძე და მინიატურული პროზის შექმნის ხელოვნება“ .კონკურსში მონაწილეობდა 8-11 კლასების 56 მოსწავლე. მოსწავლეებმა შექმნეს მინიატურული პროზის ნიმუშები, საუკეთესო თხზულებების ავტორები დიპლომებით დაჯილდოვდნენ. კონკურსში მონაწილე ყველა მოსწავლეს სკოლის ადმინისტრაციამ მადლობა გამოუცხადა.

- ალავერდის 1000 წლის იუბილესთან დაკავშირებით

სკოლაში მოსწავლეთა სასწავლო სამეცნიერო კონფერენცია ჩატარდა

2015 წლის 27 მაისს აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის ფიზიკა-მათემატიკის ქალაქ თბილისის № 42 საჯარო სკოლაში მოსწავლეთა სასწავლო სამეცნიერო კონფერენცია ჩატარდა, რომელიც ალავერდის 1000 წლის იუბილეს მიეძღვნა.

კონკურსი ჩვენი სკოლის საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის ინიციატივით ძველი თბილისის რაიონის სკოლებს შორის გამოცხადდა, რომელშიც 60-მდე მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა. საუკეთესო ნაშრომები ისტორიის , ქართული ენისა და ლიტერატურის და ხელოვნების სექციების მიერ შეირჩა. კონფერენციას ესწრებოდა კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენელი ქ-ნი ნანა კვიციანი, რომელმაც გამარჯვებული მოსწავლეები ფასიანი საჩუქრებით დააჯილდოვა.

პროექტმა ხელი შეუწყო ძველი თბილისის რაიონის სკოლების მოსწავლეთა და პედაგოგთა დაახლოებას, მოსწავლეთა შემეცნებითი თვალსაწიერის გაფართოებას, მათში კვლევითი უნარების განვითარებასა და პატრიოტული სულისკვეთების გაღრმავებას.



ინტელექტუალურ შეჯიბრში - „რა, სად, როდის“ 42-ე საჯარო სკოლის გუნდმა ძველი თბილისის რაიონის სკოლებს შორის პირველი ადგილი დაიკავა.

აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის ფიზიკა-მათემატიკის ქალაქ თბილისის №42 სკოლის გუნდმა ძველი თბილისის რაიონის სკოლებს შორის პირველი ადგილი დაიკავა..

პროექტის ორგანიზატორები არიან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, საქართველოს სპორტისა და ახალგზრდობისა საქმეთა სამინისტრო და საქართველოს ინტელექტ-კლუბი „რა? სად? როდის?“.

შიდასასკოლო საფეხბურთო ჩემპიონატის გამარჯვებული კლასი

ყოველწლიურად კლასებს შორის შიდა სასკოლო ერთთვიანი საფეხბურთო ჩემპიონატი იმართება. 2-14-2015 სასწავლო წლის საფეხბურთო ფინალში ერთმანეთს XI-1 და XII-2 კლსების მოსწავლეები შეხვდნენ. თამაში XI-1 კლასის მოსწავლეების გამარჯვებით დასრულდა. თამაშს ესწრებოდნენ პედაგოგები და ადმინისტრაციის წარმომადგენლები.

აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის ფიზიკა-მათემატიკის ქალაქ თბილისის №42 საჯარო სკოლა საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ სახალხო ზეიმზე

2015 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის ფიზიკა-მათემატიკის ქალაქ თბილისის # 42 საჯარო სკოლაც აქტიურად იყო ჩართული.
ეროვნულ დღესასწაულზე მოსწავლეებმა წარმოადგინეს საინტერესო ცდები ფიზიკაში, ისინი იქ მოსულ მოქალაქეებს უჩვენებდნენ სხავადასხვა ექსპერიმენტებს, თავიანთ ხელით შექმნილ ხელსაწყოებს, რომლებმაც საზოგადოების დიდი ინტერესი გამოიწვია. ჩვენი სკოლის მოსწავლეები უკვე მეორედ მონაწილეობენ სახალხო ზეიმში და თავიანთი სწავლითა და განათლებით პატრიოტული წვლილი შეაქვთ ქვეყნის აღმშენობლობაში.

მადლობის წერილი პედაგოგებს

აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის ფიზიკა-მათემატიკის ქალაქ თბილისის №42 საჯარო სკოლის პედაგოგები მრავლად იღებენ მადლობის წერილებს სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლებიდან და საგანმანათლებლო ორგანიზაციებიდან . მადლობაის ისინი ქართველი მოსწავლე-ახალგაზრდების განათლებისა და წიგნიერების დონის ამაღლებისათვის გაწეული შრომისათვის ღებულობენ.

ამჯერად სკოლის ინგლისურის პედაგოგმა ქ-ნ ვენერა ტურიანმა მიიღო მადლობის წერილი საგანმანათლებლო ორგანიზაცია „კინგსის“ გენერალური დირექტორისგან.



KINGS

მადლობის წერილი

ქალბატონო ვენერა

მადლობას გიხდით გაწეული დაუღალავი შრომისათვის, რომელიც ქართველი მოსწავლე-ახალგაზრდობის განათლებისა და წიგნიერების დონის ამაღლებასა და სრულყოფას ემსახურება.

მე, ირაკლი ჯინჯიხაძე, როგორც საგანმანათლებლო ორგანიზაცია "კინგსის" გენერალური დირექტორი, დიდ მადლობას მოგახსენებთ აქტიური თანაშრობლობისა და თანადგომისათვის. ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი პროექტები კვლავაც საინტერესო იქნება თქვენთვის და ჩვენი მომავალი საქმიანი ურთიერთობა დიდ წვლილს შეიტანს ქვეყნის ახალგაზრდა თაობის განვითარებაში.

გენერალური დირექტორი
ირაკლი ჯინჯიხაძე

20.10.2014

სემინარის , „მასწავლებელი- მეგზური ევროპისკენ“ პროექტში გამარჯვებული პედაგოგების სამდღიანი ვიზიტი ლატვიაში

სემინარის, „მასწავლებელი- მეგზური ევროპისკენ“ ფარგლებში გამოცხადებული კონკურსის ათი გამარჯვებული პედაგოგი , მათ შორის ჩვენი სკოლის პედაგოგები მაკა ბიბილეიშვილი (სამოქალაქო განათლება) და ნინო ნასყიდაშვილი (ქართული ენა) სამდღიანი სასწავლო ვიზიტით ლატვიაში იმყოფებოდნენ. ვიზიტი ლატვიის საგარეო საქმეთა სამინისტროს დაფინანსებით და საქართველოში ლატვიის საელჩოს მხარდადაჭერით განხორციელდა.

ვიზიტის ფარგლებში (ა.წ. 4-6 მაისი) მონაწილეებისათვის სპეციალური სასწავლო პროგრამა იქნა შედგენილი.

პედაგოგებმა მოინახულეს ქ. რიგის დაწყებითი სკოლა და კოლეჯი, უკრაინული სკოლა, ევროპის სახლი, დაათვალიერეს ინტეგრირებული ბიბლიოთეკა, ეწვივნენ საქართველოს საელჩოს ლატვიაში. პედაგოგები გაეცნენ ლატვიის სკოლების ზოგად სასწავლო მიმართულებებს და ევროკავშირის წვლილს მათ მიღწევებში.

აღნიშნული სემინარი ნატოსა და ევროკავშირის სესახებ საინფორმაციო ცენტრის ორგანიზებით, ფრიდრიხ ებერტის ფონდის მხარდაჭერითა და სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მჭიდრო თანამშრომლობით უკვე მეორედ გაიმართა.

მოსწავლეების პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის ხელშეწყობის მიზნით 42 საჯარო სკოლა ყოველწლიურად უცხოეთის უნივერსიტეტების წარმომადგენლების მასპინძლობს

სტუმრად ბრაუნისა და პანსელვანიის უნივერსიტეტების პროფესორები

2014 წლის 3 ოქტომბერს სკოლაში სტუმრად იმყოფებოდნენ ბრაუნის უნივერსიტეტის მიმღები დეპარტამენტის ხელმძღვანელი პანეტა თეოდოსია ნიკი ოტტი და პანსელვანიის უნივერსიტეტის საბაკალავრო პროგრამების უფროსი ასოცირებული დეკანი ელიზაბეტ ო' კონელი. ამერიკის შეერთებული შტატების აივი ლიგის სკოლების წარმომადგენლები სკოლას საერთაშორისო განათლების ცენტრის ორგანიზებით ესტუმრნენ. შეხვედრას X-XII კლასის მოსწავლეები ესწრებოდნენ. სტუმრებმა მოსწავლეებს გააცნეს ინფორმაცია ამერიკის წამყვან უნივერსიტეტებში ჩარიცხვის კრიტერიუმების, სტიპენდიებისა და სასწავლო პროგრამების შესახებ. შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში გაიმართა.

სკოლამ ბულგარეთის ამერიკულ უნივერსიტეტს უმასპინძლა

2014 წლის 15 ოქტომბერს საერთაშორისო განათლების ცენტრის ორგანიზებით სკოლაში სტუმრად იმყოფებოდნენ ბულგარეთის ამერიკული უნივერსიტეტის წარმომადგენლები, რომლებმაც მოსწავლეებს თავიანთი უნივერსიტეტის შესახებ ვრცელი პრეზენტაცია წარუდგინეს. შეხვედრას XI-XII კლასის მოსწავლეები ესწრებოდნენ. სტუმრებმა ისაუბრეს ბულგარეთის უნივერსიტეტში საბაკალავრო პროგრამებზე ჩარიცხვის კრიტერიუმების, სასწავლო პროგრამებისა და სტიპენდიების შესახებ.

პრეზენტაციას ესწრებოდა ჩვენი სკოლისა და ასევე ბულგარეთის ამერიკული უნივერსიტეტის კურსდამთავრებული მიხეილ ჩიგოგიძე. მან მოსწავლეებს ამომწურავი ინფორმაცია მიაწოდა უნივერსიტეტში მიღებული ცოდნისა და ყველა სასწავლო აქტივობის შესახებ.

სკოლას ტაფტის უნივერსიტეტის საბაკალავრო პროგრამების დეპარტამენტის ასოცირებული დირექტორი ბენ ბაუმი სტუმრობდა

2014 წლის 7 ოქტომბერს საერთაშორისო განათლების ცენტრის ორგანიზებით სკოლას ესტუმრა აშშ-ის ერთ-ერთი საუკეთესო-ტაფტის უნივერსიტეტის- საბაკალავრო პროგრამებზე მიმღები დეპარტამენტის ასოცირებული დირექტორი ბენ ბაუმი,რომელიც განიხილავს საქართველოდან საერთაშორისო სტუდენტების აპლიკაციებს.
ბენ ბაუმი სკოლის XI-XII კლასის მოსწავლეებს შეხვდა. შეხვედრაზე მან მოსწავლეებს გააცნო ინფორმაცია ტაფტის მაღალრეიტინგული უნივერსიტეტის საბაკალავრო პროგრამებზე ჩარიცხვის კრიტერიუმების, სტიპენდიებისა და სასწავლო პროგრამების შესახებ. შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში გაიმართა.

2014-2015 წლის მნიშვნელოვანი მოვლენები და წარმატებები

მოსწავლეთა სამოქალაქო კლუბების მიმართულებები

1. ევროინტეგრაცია
2. გაერო
3. ნატო
4. გარემოს დაცვა
5. თანადგომა
6. ჯანსაღი ცხოვრების წესი

2013-2014 წლის მნიშვნელოვანი მოვლენები და წარმატებები

მონაწილეობა ევროპის სკოლის მოსწავლეთა გაერთიანებების საორგანიზაციო ბიუროს (OBESSU) მიერ წარმართულ საერთაშორისო კონფერენციაში.



ვიზიტი სტრასბურგის ევროპის ახალგაზრდულ ცენტრში

ვიზიტი ბუდაპეშტის ახალგაზრდულ ცენტრში

2013-2014 წლის მნიშვნელოვანი მოვლენები და წარმატებები

USAID FROM THE AMERICAN PEOPLE

PH international

სკოლა ჩართულია სამოქალაქო განათლებისა და პედაგოგთა გადამზადების პროგრამაში-**PH International-ი** (დაფინანსებულია USAID-ის მიერ)

პროგრამის ფარგლებში მოსწავლეთა სამოქალაქო კლუბმა

•მოიპოვა 2 გრანტი პროექტებისათვის ”წიგნიერება ქველმოქმედებისათვის” და „ხელი ხელს“ .

* მიიღო დაფინანსება მოსწავლეთა ინიციატივის განხორციელებისათვის „სემინარები ბლოგების შექმნისათვის“.

* კონკურსის გზით მოიპოვა ტექნიკის კომპლექტი: ლეპტოპი, პროექტორი, პრინტერი-სკანერი-ქსეროქსი, ვიდეო კამერა, ფოტოაპარატი, დიქტოფონი, ინტერნეტ კავშირის მოწყობილობა (მობილური ინტერნეტი), ფლეშ მეხსიერება.

სკოლაში „ნატოს“ სხდომის მოდელირება გაიმართა

2014 წლის 14 დეკემბერს, მოსწავლეთა ,,ნატოს" კლუბის ორგანიზებით ჩვენს სკოლაში გაიმართა ,,ნატოს" სხდომის მოდელირება. პროექტი მოიცავდა იმიტირებულ სხდომას მრგვალი მაგიდის პრინციპით. სხდომაზე განიხილებოდა ,,ნატო"– რუსეთის ურთიერთობები, ყირიმის, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საკითხები და, ასევე, უკრაინის ,,ნატოში" გაწევრიანების საკითხი.
სხდომაზე ,,ნატოს" წევრი ქვეყნების დელეგატების გარდა მოწვეულნი იყვნენ რუსეთის, საქართველოსა და უკრაინის დელეგატებიც.
სხდომა ოთხი ნაწილისგან შედგებოდა. პირველ ნაწილში მოსწავლეებმა წარადგინეს საკუთარი ქვეყნის პოზიცია და გააკეთეს მოხსენება, მეორე ნაწილი კითხვა–პასუხის რეჟიმს დაეთმო, მესამე ნაწილზე გაიმართა დებატები, მეოთხე, დასკვნით ნაწილზე კი მოსწავლეებმა შეიმუშავეს რეზოლუცია.
პროექტში მონაწილეობა მიიღო 8–12 კლასების ოცმა აქტიურმა მოსწავლემ. სხდომის მოდელირების შემდგომ თითოეულ დელეგატს გადაეცა სიგელი. სხდომის მოდელირების 7 ყველაზე აქტიური დელეგატი მონაწილეობას მიიღებს 2015 წლის დასაწყისში დაგეგმილი სხვა სკოლების მასშტაბითაც გამართულ ,,ნატოს" სხდომის მოდელირებაზე.

სკოლის მოსწავლეები ბავშვთა უფლებების კონვენციის 25-ე წლისთავის აღმნიშვნელ ღონისძიებაზე საქართველოს პარლამენტში

2014 წლის 19 ნოემბერს საქართველოს პარლამენტში გაიმართა სპეციალური სესია, რომელიც ბავშვის უფლებათა კონვენციის 25-ე წლისთავს მიეძღვნა. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ მთავრობისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები და თავად ბავშვები. ბავშვთა უფლებათა კონვენციის მიღების დღე 20 ნოემბერს მთელს მსოფლიოში აღინიშნება.
პარლამენტის წინაშე 42-ე საჯარო სკოლის მოსწავლეებიც წარდგნენ, სადაც განიხილავდნენ მოსწავლეთა თვითმმართველობას, როგორც მონაწილეობის უფლებას, მასთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრის გზებს და შესაძლებლობებს.



სამოქალაქო განათლების ოლიმპიადის მეორე ტურის გამარჯვებულების დაჯილდოება

2015 წლის 20 მარტს,საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში სამოქალაქო განათლების ოლიმპიადის მეორე ტურის გამარჯვებულების დაჯილდოება გაიმართა. სამოქალაქო განათლების ოლიმპიადის მეორე ტურის შედეგად 201 გამარჯვებული გამოვლინდა, რომელთაგანაც 5 აკადემიკოს ი.ვეკუას სახელობის ფიზიკა–მათემატიკის ქ.თბილისის 42–ე საჯარო სკოლის მოსწავლეები (მარიამ იმერლიშვილი, თამარ მესხია, რატი პერტია, გერმანე წურწუმია და ილია უბირია) არიან..

ოლიმპიადის მესამე ტური ორ ეტაპად ჩატარდება. პირველი ეტაპი მოიცავს ესეს დაწერას, რის შემდეგაც აირჩევა 40 საუკეთესო ნაშრომი, ხოლო მეორე ეტაპზე წარმოდგენილი იქნება ესეს ავტორების პრეზენტაციები. საუკეთესო 20 მონაწილე გაემგზავრება საზღვარგარეთ.

სკოლის დირექტორმა ბ-ნ ნუგზარ კედელაშვილმა სერტიფიკატები და საჩუქრები კიდევ ათ მოსწავლეს გადასცა.

ჩვენი სკოლა მრავალშვილიანი ოჯახის დასახმარებლად

სკოლაში ერთი კვირის განმავლობაში სხვადასხვა სახის პროდუქტი, თბილი ტანსაცმელი და სათამაშოები გროვდებოდა მაკა ივანაშვილის მრავალშვილიანი ოჯახის დასახმარებლად. მაკა მარტოხელა დედაა რომელიც თბილისში უკიდურეს გაჭირვებაში ცხოვრობს, სკოლამ მცირედი დახმარება მაკას ოჯახს 2 მარტს გადასცა. აღნიშნული საქველმოქმედო აქციის ინიციატივის ავტორი ხელოვნების პედაგოგი ანუკა გაბუნია არის, რომელსაც მოსწავლეები და სხვა პედაგოგეგბი სიამოვნებით შეუერთდნენ.

მოსწავლეებმა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს უმასპინძლეს

2015 წლის 25 თებერვალს ჩვენი სკოლის მოსწავლეები ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის თანამშრომლებს შეხვდნენ.
ლექცია-ტრენინგის განმავლობაში მოსწავლეებსა და ცენტრის თანამშრომლებს შორის დისკუსია გაიმართა, რომლის მიზანს წარმოადგენს მოსწავლეებში შშმ პირთა მიმართ არსებული დამოკიდებულებისა და შეხედულების შესახებ ინფორმციის გაცვლა-გამოცვლა;

2014-2015 წლის მნიშვნელოვანი მოვლენები და წარმატებები

სტანდარტზედა მომსახურება

სკოლაში მოსწავლეთათვის წარმატებით ხორციელდება შემდეგი სტანდარტზედა მომსახურების სერვისები:

- logikis damatebiTi kursi
- menejmenti
- Jurnalistika (I –II nawili)
- programireba (I –II nawili)
- buRalteriis sabazo kursi
- konfliqtebis marTva da molaparakebebis xelovneba
- eleqtruli kvanZebi da qselebi
- eleqtronuli xazva (AUTOCAD)
- oratoruli xelovneba
- werisa da metyvelebis kultura
- msoflio literatura antikuridam dRemde
- ევროპული მოქალაქეობა/გზა ევროპისკენ

სკოლაში სასწავლო კურსის „ გზა ევროპისკენ/ევროპული მოქალაქეობა“ფარგლებში შემაჯამებელი ღონისძიება გაიმართა

2015 წლის 2 ივნისს, აკადემიკოს ი. ვეკუას სახელობის ფიზიკა-მათემატიკის ქ. თბილისის 42-ე საჯარო სკოლაში სასწავლო კურსის „ გზა ევროპისკენ/ევროპული მოქალაქეობა“ფარგლებში შემაჯამებელი ღონისძიება გაიმართა. პროგრამა მოიცავდა სასწავლო კურსს, რომლის მიზანია მოსწავლეებს დაეხმაროს ევროპული ღირებულებების, ევროპული მოქალაქეობის გააზრებაში; ხელი შეუწყოს პიროვნულ განვითარებას; დაეხმაროს კულტურათაშორისი თანაცხოვრების თავისებურებების გაანალიზებაში; დაანახოს წარმატების შესაძლებლობები ევროპისაკენ მიმავალ გზაზე. დასკვნითი ღონისძიება წარმოდგენილი იყო ინტერკულტურული საღამოს სახით. ღონისძიებაზე მოსწავლეებმა ევროკავშირის წევრი 13 ქვეყანა წარმოადგინეს და წარმოაჩინეს ყველა ის ეტაპი თუ როგორ გაიკვალეს ამ ქვეყნებმა გზა, ევროკავშირში გაწევრიანებამდე. ღონისძიებაში მონაწილე მოსწავლეები სიგელები დაჯილდოვდნენ.

სასწავლო კურსის "გზა ევროპისკენ/ ევროპული მოქალაქეობა“ ფარგლებში მოსწავლეებმა ევროპული ტურის პროექტზე მომუშავე წარმატებულ ჟურნალისტ ეკა ქადაგიშვილს უმასპინძლეს

2015 წლის 2 მარტს ჩვენი სკოლის სტუმარი ჟურნალისტი ეკა ქადაგიშვილი გახლდათ. შეხვედრა სასწავლო კურსის "გზა ევროპისკენ" ფარგლებში გაიმართა. დისკუსია კითხვა-პასუხის რეჟიმში მიმდინარეობდა. ქალბატონმა ეკამ პ.ს. –ის ევროპული ტურის პროექტზე და მის პირად შეხედულებებზე ისაუბრა. მოსწავლეებმა ჟურნალიტს მათთვის საინტერესო კითხვები დაუსვეს . მსგავსი ტიპის შეხვედრები ჟურნალისტებთან კვლავ იგეგმება.

2014-2015 წლის მნიშვნელოვანი მოვლენები და წარმატებები

ჩვენი ბიბლიოთეკა

აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის ფიზიკა -მათემატიკის ქალაქ თბილისის N42 საჯარო სკოლა საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის წევრია. საერთაშორისო ასოციაციის წევრია ასევე სკოლის ბიბლიოთეკარი – მედეა მოსიავა;

2014-2015 წლის მნიშვნელოვანი მოვლენები და წარმატებები

სკოლამ ხელშეკრულება გააფორმა საქართველოს ბიბლიოთეკათა ასოციაციასთან და შიეძინა ბიბლიოთეკისთვის ელექტრონული კატალოგი "Openbiblio".

საბიბლიოთეკო პროგრამა **Openbiblio** განკუთვნილია სასკოლო, საუნივერსიტეტო, საეკლესიო, ასოციაციების, ორგანიზაციების ბიბლიოთეკებისათვის ან კერძო კოლექციებისათვის. მასში შესაძლებელია ნიიიი-მდე ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის გაკეთება და მართვა.

2014-2015 სასწავლო წლის დასასრულისთვის პროგრამაში დარეგისტრირებულია ბიბლიოთეკაში არსებული ყველა წიგნი და ჟურნალ-გაზეთები. ასევე შეიქმნა ანბანური და სისტემატიური კატალოგების ელექტრონული ვერსიები, თემატური კატალოგები, კატალოგები განყოფილებების მიხედვით.



ბიბლიოთეკის აქტიური მკითხველები სიგელებით დაჯილდოვდნენ

2014 წლის 20 დეკემბერს სკოლის ბიბლიოთეკარმა მედეა მოსიავამ რეიტინგის მიხედვით გამოავლინა სკოლის ბიბლიოთეკის აქტიური მკითხველები. მოსწავლეები სკოლის ადმინისტრაციამ დიპლომებითა და სიგელებით დააჯილდოვა, პრველ სამეულს კი საჩუქრად წიგნები გადაეცათ.

აქტიური მკითხველების გამოვლენა სკოლაში ყოველწლიურად ხდება, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში წიგნიერების დონის ამაღლებას.

2014-2015 წლის მნიშვნელოვანი მოვლენები და წარმატებები

სკოლაში წარმატებით ხორციელდება სტაჟირების პროგრამა სკოლის სხვადასხვა სამუშაო პოზიციებზე:

- ბიბლიოთეკა
- ბუღალტერია
- საზოგადოებასთან ურთიერთობა (PR)
- საქმის წარმოება
- მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა
- უსაფრთხო სკოლა და მონიტორინგი

წარმატებულ სტაჟიორებს გადაეცემათ შესაბამისი სერტიფიკატები

სამოქალაქო განათლების კლუბის აქტიური წევრების მიერ შექმნილია ბლოგი **„ტექნოლოგია“**

ჩვენი სკოლის პედაგოგების ანა სალაყაიასა და ნინო მთიულიშვილის მიერ შექმნილია ქართული ენისა და გეოგრაფიის ბლოგები: „ალამდარი“ და „მაგნოლია“. სკოლის მოსწავლეები აღნიშნული ბლოგებით წარმატებით სარგებლობენ

აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის ფიზიკა მათემატიკის #42 საჯარო სკოლა

გმადლობთ ყურადღებისათვის!

2015 weli

Tbilisi